



ონის მუნიციპალიტეტის მერია



ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი

N 1985
27/08/2019

1985-02-4-201908271806



ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტისა და 22-ე მუხლის, „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აგვისტოს N360 დადგენილების თანახმად სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით, **ვბრძანებ:**

1. შეიქმნას მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში საშემოდგომო გამწვევი კომისია შემადგენლობით:

- | | |
|------------------|--|
| ემზარ საბანაძე | მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით ლებანიძე | მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; |
| მირიან ქავთარაძე | საქართველოს შსს-ს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ონის რაიონული სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი; |
| დავით სირბილაძე | საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი, კომისიის წევრი; |
| დავით ბერელიძე | მერიის განათლების, კულტურის, სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში, კომისიის წევრი; |
| ნინო მეტრეველი | მუნიციპალიტეტის განათლების რესურს ცენტრის უფროსი, კომისიის წევრი; |
| ზაზა ისაკაძე | მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი; |

ქეთევან მელაშვილი მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის
სამსახურის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი,
კომისიის მდივანი.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ.
ამბროლაური. კოსტავას ქუჩა N13) ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის
„საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3
პუნქტის თანახმად.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

